



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-75/ნ

21 ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 18/07/2014, 470230000.22.035.016280) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის (მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესი) მე-2 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^ა“ პუნქტი:

„1^ა. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, მიუხედავად საექიმო საქმიანობის განხორციელების ადგილისა, ექიმი ვალდებულია, გამოწეროს რეცეპტი პაციენტისათვის მიცემული დანიშნულების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწვევი სუბიექტის მიერ ფარმაცევტული პროდუქტ(ებ)ის გამოყენება სამედიცინო მომსახურების ნაწილია.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგვენკო